კავშირი სტრესის დონეს, აკადემიურ მოსწრებასა და აკადემიურ მოტივაციას შორის საზღვრისპირა რეგიონში მცხოვრებ მოზარდებთან

მარიამ ქონიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნებათა ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების გარეშე.

მარიამ ქონიაშვილი 2.06.23

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა საზღვრისპირა რეგიონში მცხოვრებ მოზარდებში სტრესის დონეს, აკადემიურ მოსწრებასა და აკადემიურ მოტივაციას შორის კავშირის დადგენას. შეირჩა 15-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდები და მონაცემები შეგროვდა კითხვარების მეშვეობით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა რეგიონში მცხოვრებმა 108 მოზარდმა (შიდა- ქართლის მაშტაბით). სტრესის დონის ზოგადი ქულის დასადგენად გამოყენებულ იქნა კითხვარი, რომელიც შეიქმნა სტრესის დონის გასაზომად იმ უნიკალური გარემოებებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოზარდები, ხოლო აკადემიური მოტივაციის საკვლევად გამოყენებულ იქნა აკადემიური მოტივაციის სკალა_The Academic Motivation Scale (AMS). შედეგებმა აჩვენა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირია მოზარდთა სტრესის დონეს, აკადემიურ მოსწრებასა და ამოტივაციას შორის, ასევე აკადემიურ მოსწრებასა და ამოტივაციას შორის. სტრესის დონესა და აკადემიურ მოსწრებას შორის და მოზარდთა აკადემიურ მოსწრებასა და ამოტივაციას შორის გამოვლინდა უარყოფითი კავშირი, ხოლო დადებითი კავშირი გამოვლინდა სტრესის დონესა და ამოტივაციას შორის. მრავლობითმა რეგრესიამ აჩვენა, რომ ამოტივაციას აქვს უარყოფითი ეფექტი აკადემიურ მოსწრებაზე. აღსანიშნავია, რომ არ გამოვლინდა სტრესის დონის ეფექტი შედეგის ცვლადზე. დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ ამოტივაციას აკადემიურ მოსწრებაზე, აკადემიურ მოტივაციას კი აკადემიურ მოსწრებაზე აქვს უარყოფითი ეფექტი.

Abstract

Underlying research aimed to establish the correlation between the stress level, academic performance and academic motivation among the students living in the regions near the state border of Georgia. Adolescents aged between 15 and 18 have been selected and the data was collected via using specific questionnaires. 108 adolescents living in regions near the border of occupied territories (Inner Kartli) have participated in the research. To estimate the general stress level score, a questionnaire has been used, which was created in order to measure stress level considering the unique circumstances and challenges that the adolescents, living in the conflict zone, have to face. The Academic Motivation Scale (AMS) was used to assess the academic motivation. The results demonstrated that there's statistically significant correlation between the stress level, academic performance and amotivation of the adolescents, also between the academic performance and amotivation. Although there's following difference: negative correlation was found between the stress level and academic performance as well as between the academic performance and amotivation. On the other hand, average positive correlation has been identified between stress level and amotivation. Multiple regressions displayed that the amotivation has negative impact on academic performance. It is worth noting that, no effect of the stress level was found on the dependent variable. The following hypothesis has been confirmed: amotivation has negative impact on the academic performance, so does academic motivation on academic performance. The hypothesis that the stress is the positive predictor of academic performance, couldn't be validated..

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოზარდი, სტრესი, ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრისპირა რეგიონი, აკადემიური მოსწრება, აკადემიური მოტივაცია.

მადლობა

კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია წერეთელს და ჩემს თანახელმძღვანელს, ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს. ასევე, მადლობას ვუხდი ყველა იმ საზღვრისპირა რეგიონში მცხოვრებ მოზარდსა და სკოლის ხელმძღვანელს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში და აქტიურად თანამშრომლობდნენ ჩემთან.